



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის  
აკადემია

დამტკიცებულია:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის  
აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ  
(ოქმი N32208. 08/04/2021წ.)

რექტორი:

---

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული  
თავდაცვის აკადემიის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

ქ.გორი  
2021

## მუხლი 1. შესავალი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს აკადემიის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ზოგად მიმართულებებს, რომელიც შემუშავებულია აკადემიაში მიმდინარე პროცესების ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია აკადემიის 2021-2022 სასწავლო წლამდე განხორციელებული საგანმანათლებლო აქტივობების და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე. ასევე, ეყრდნობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საქიროებების დადგენის კვლევის ანალიზსა და აკადემიის სტრატეგიული განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიას, რომლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და პროცედურები აკადემიაში გამოიყენება სწავლა/სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, იუნკერთა სერვისების და საზღვარგარეთის პარტნიორ სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაცვლითი პროექტების განსახორციელებლად. ამასთანავე გამომდინარეობს, როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების პრიორიტეტებიდან და ასევე, თავსებადია ნატო-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან. არსებული ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები განაპირობებს განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციას აკადემიაში. ეს ყოველივე კი ქმნის აკადემიის კურსდამთავრებულთათვის მყარ საფუძველს შემდგომ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის ძალებში წარმატებული სამხედრო კარიერის დასაწყებად.

## მუხლი 2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანია:

1. უზრუნველყოს ურთიერთობების დამყარება და განმტკიცება პარტნიორ სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კვლევით წრეებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აკადემიის სასწავლო პროცესში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისა და სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით;
2. უზრუნველყოს ერთობლივი მოკლევადიანი სასწავლო პროექტების, სამხედრო სწავლებების, სტაჟირებების და გაცვლითი მოკლევადიანი თუ სემესტრული პროგრამების და გრძელვადიანი პროგრამების განხორციელება, იუნკერებს/მსმენელებს, სამხედრო ინსტრუქტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის საქართველოსა და უცხოეთის თავდაცვის სამინისტროებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებებისა და სამხედრო აკადემიებს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების საფუძველზე;

3. უზრუნველყოს აკადემიაში გამოცდილი და პროფესიონალი აკადემიური პერსონალის, ოფიცრების, მკვლევრების თუ მოწვეული სპიკერების მოზიდვა;
4. უზრუნველყოს აკადემიის პირადი შემადგენლობის გადამზადება და მათი პროფესიული განვითარება საერთაშორისო ტრენინგ-კურსებში, სემინარებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობის გზით;
5. უზრუნველყოს აკადემიაში გამოცემული სამეცნიერო ჟურნალის პოპულარიზაცია საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში და ხელი შეუწყოს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების, გამოცემების, სამეცნიერო ფორუმების განხორციელება;
6. ხელი შეუწყოს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად აკადემიის ჩართულობას Erasmus + ის გრანტის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში და აკადემიის პირადი შემადგენლობის მობილობის ხელშეწყობას;
7. მოხდეს ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) და ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა და დასავლური სწავლების მეთოდების და ნატო-ს ექსპერტების/სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება, ასევე ხელი შეუწყოს ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამაში (DEEP) ჩართულობის ინტენსიფიკაცია აკადემიის სასწავლო პროგრამების სილაბუსების გადახედვის, პროგრამების მოდერნიზაციის, ახალი პროგრამების შექმნის, აკადემიური პერსონალის გადამზადებისა და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული სასწავლო მეთოდების დანერგვის პროცესში;
8. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და თავდაცვის ძალების საჭიროებების გაზიარების გზით ხელი შეუწყოს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების პროგრამებში დისტანციური სწავლების ელემენტის დანერგვას;
9. ხელი შეუწყოს აკადემიის აკადემიური განათლების მესამე საფეხურის პროგრამის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს და სამომავლოდ მის ეფექტურად განხორციელებას საერთაშორისო პარტნიორების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით;
10. უზრუნველყოს აკადემიის ცნობადობის გაზრდა ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ქსელებში ჩართულობის გზით;
11. უზრუნველყოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და არსებული სიახლეების დანერგვის ხელშეწყობა.

### მუხლი 3. საერთაშორისო საგანმანათლებლო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები

1. ეროვნული თავდაცვის აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოეთის სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების ფარგლებში. აკადემიას გააჩნია ინტენსიური პარტნიორული ურთიერთობები ბალტიის რეგიონის, აზერბაიჯანის, რუმინეთის, თურქეთის, გერმანიის, საფრანგეთის და ევროპის სხვა სამხედრო აკადემიებთან, ასევე ამერიკის და კანადის რამდენიმე სამხედრო უნივერსიტეტთან. ნატო-სთან თავსებადობის ამაღლების მიზნით, ასევე აღსანიშნავია თანამშრომლობა ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა პროგრამასთან - სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა (DEEP), პარტნიორობა მშვიდობისათვის კონსორციუმი PFP-C, ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიურო BILC, რაც უზრუნველყოფს ზოგადი სასწავლო ციკლის მოდერნიზებას აკადემიაში და ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლებას. სამხედრო Erasmus+ -ის პროგრამის ფარგლებში, ეთა თანამშრომლობს უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფორმატში და მონაწილეობს რამდენიმე საერთაშორისო დონის პროექტში. თავდაცვის ეროვნული აკადემია ასევე თანამშრომლობს „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან ვაშინგტონში, რედაქციის მიერ გადაღებული სიუჟეტების საშუალებით მოხდა აკადემიისა და ქართველი იუნკერების შესახებ ცნობადობის ამაღლება.

### მუხლი 4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პროცესის წარმართვა

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პროცესის წარმართვა მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით:

#### 1. იუნკერების/მსმენელების კუთხით:

ა) გრძელვადიანი პროგრამები - აკადემიის იუნკერები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ირიცხებიან აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიისა და თურქეთის სამხედრო აკადემიებში სრულ საბაკალავრო პროგრამებზე სასწავლებლად, რაც აღნიშნულ ქვეყნებთან შეთანხმებული ორმხრივი გეგმების ფარგლებში ხორციელდება.

#### ბ) იუნკერების/მსმენელების კუთხით მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები:

- აკადემიის პარტნიორი სამხედრო აკადემიების/უნივერსიტეტების მიწვევით იუნკერები რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა სახის სასწავლო,

კულტურულ, სოციალურ, სპორტულ ღონისძიებებსა თუ სამხედრო მეცადინეობებს და სწავლებებს, როგორც ევროპის, ასევე ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. მსგავსი ვიზიტები ემსახურება იუნკერებისთვის სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ტრადიციებისა და კულტურის გაცნობას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას როგორც სამხედრო, ასევე აკადემიურ ასპექტში, მსოფლიოს მომავალი პოტენციური ლიდერებისა და სამხედრო ოფიცრების დაახლოებას და მათ შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას.

- დიდი მნიშვნელობა ენიჭება სემესტრულ გაცვლით პროგრამებს, რაც გულისხმობს ქართველი იუნკერების გაგზავნას უცხოურ სამხედრო აკადემიაში ერთი სემესტრის განმავლობაში სასწავლებლად.
  - გარდა ამისა, სამეცნიერო-კვლევითი გაცვლითი სტაჟირების ფარგლებში, აკადემია აგზავნის იუნკერებს პარტნიორ სამხედრო აკადემიაში საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის ხელშესაწყობად, ხოლო საპასუხოდ მასპინძლობს უცხოელ კადეტებს, რომლებიც მუშაობენ თავიანთ საბაკალავრო/სამაგისტრო თემაზე და რომელთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს საქართველო თავისი საინტერესო ისტორიული და მიმდინარე სამხედრო გამოცდილებით რეგიონში. სტაჟირების განმავლობაში ხორციელდება ვიზიტები და ინტერვიუები კომპეტენტურ პირებთან სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში კადეტის საკვლევ სფეროს შესაბამისად. სტაჟირების პერიოდში ასევე ხორციელდება სხვადასხვა კულტურული და სოციალური ღონისძიებები.
  - აკადემიაში ყოველწლიურად იმართება კადეტთა საერთაშორისო კვირეული, რომელიც ერთ-ერთი მასშტაბური ღონისძიებაა აკადემიაში გამართულ ღონისძიებებს შორის. მასში მონაწილეობას იღებენ კადეტები/სტუდენტები აკადემიის პარტნიორი სამხედრო აკადემიებიდან და უნივერსიტეტებიდან. ღონისძიება ითვალისწინებს სხვადასხვა კულტურულ, სასწავლო და სპორტულ აქტივობებს.
  - აკადემიის მისიიდან გამომდინარე, სწავლება ხორციელდება მხოლოდ ქართულ ენაზე, აქედან გამომდინარე შეზღუდულია არაქართულენოვანი სტუდენტების მოზიდვა ძირითადი სტრუქტურული ერთეულების პროგრამებზე.
2. აკადემიური პერსონალის, სამხედრო ინსტრუქტორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კუთხით:
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების პროფესორ-მასწავლებლები, სამეთაურო-სამშტაბო კოლეჯის სამხედრო ინსტრუქტორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ ნატო-ს პროგრამების (PfP-C, DEEP, BILC) ორგანიზებით

ჩატარებულ კონფერენციებში, სემინარებსა თუ ტრენინგებში. ეს ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და სამხედრო ინსტრუქტორების პროფესიონალიზმის ამაღლებას, სასწავლო პროგრამების გადახედვას, სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდების გაცნობა-გამოყენებას სასწავლო პროცესში.

- ამერიკისა და საფრანგეთის საელჩოების მხარდაჭერით აკადემიას ყოველწლიურად სტუმრობენ ამერიკელი და ფრანგი მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ინგლისური და ფრანგული ენების სწავლების პროცესში.
- მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში აკადემიის უცხო ენის მასწავლებლები ყოველწლიურად ატარებენ ლექციებს პარტნიორ სამხედრო აკადემიებში, ხოლო აკადემიას ანალოგიური ვიზიტით სტუმრობენ უცხოელი მასწავლებლები.
- მაგალითად, აკადემიასა და ამერიკის ჩრდილოეთ ჯორჯიის უნივერსიტეტს შორის ხორციელდება პროფესორების სემესტრული გაცვლითი პროგრამა, რომლის ფერგლებშიც აკადემიის რუსულის ენის პროფესორი შემოდგომის სემესტრს ატარებს ჩრდილოეთ ჯორჯიის უნივერსიტეტში, ხოლო აკადემია მასპინძლობს ინგლისურის ენის პროფესორს, რომელსაც ატარებს ინგლისურის ენის ინტენსიურ კლასებს აკადემიის იუნკერებისთვის.

### **3. სასწავლო პროცესისა კუთხით:**

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ბოლონიის პროცესის შესაბამისად. აკადემიის სასწავლო პროცესის ციკლის დახვეწაში, აკადემიური პროგრამებისა თუ სილაბუსების განვითარებაში და ასევე, იუნკერთა ეფექტური შეფასების სისტემის თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა (DEEP), რომელთანაც აკადემია 2013 წლიდან თანამშრომლობს. გარდა ამისა, პროგრამების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით, აკადემია ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზისა და დარგის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, აკადემია ნერგავს და ანვითარებს საგანმანათლებლო პროგრამებს.

აკადემიაში მოქმედებს იუნკერთა სერვისების სახით Moodle-ის, TEAMS-ის, ILIAS-ის ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის მიწოდება და გაცვლა იუნკერებს, აკადემიის მმართველობასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის სხვადასხვა საჭირო თემის შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია იცავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრინციპებს და აკადემიაში შექმნილი ყველა ნაშრომი, სამეცნიერო-კვლევით ჟურნალებში გამოქვეყნებული

სტატიები სავალდებულო წესით მოწმდება პლაგიატის აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაში „Turnitin“

აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების პროგრამებში ინგლისური ენის ხვედრითი წილი მაღალია. ამასთანავე, დამატებით შეთავაზებულია ფრანგული ან გერმანული ენის სწავლება. აკადემიაში საქართველოში ამერიკისა და საფრანგეთის სალჩოების მხარდაჭერით ყოველწლიურად იმყოფებიან ამერიკელი და ფრანგი მოხალისეები, რომლებიც ეხმარებიან აკადემიის ბაკალავრიატის იუნკერებს ენობრივი კომპეტენციების განვითარებაში.

აკადემიაში არსებული ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს ქართულენოვან და ინგლისურენოვან ლიტერატურას, ასევე სხვადასხვა დარგის მონაცემთა ბაზებს, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს, ინტენსიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის განმავლობაში როგორც იუნკერების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერ.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გამოიკვეთა დისტანციური სწავლების კომპონენტის არესებობის აუცილებლობა. აკადემიაში შექმნილია დისტანციური სწავლების ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სწავლების კომპონენტის განვითარებას და ცოდნის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას. დისტანციური სწავლების მექანიზმის მეშვეობით კიდევ უფრო მარტივი ხდება საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საერთო აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება.

## **მუხლი 5. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტურობის ინდიკატორები**

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შედეგად აკადემიაში მიმდინარეობს:

- სწავლის შედეგების დახვეწა, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება;
- ინსტიტუციური ზრდა და განვითარება, ინტელექტუალური ცოდნის დაგროვება;
- გაცვლით პროგრამებში ჩართული იუნკერების და აკადემიური პერსონალის/ინსტრუქტორების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა და მიღებული გამოცდილების დანერგვა აკადემიის სასწავლო პროგრამებში;

**ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გამოწვევები:**

აკადემიაში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გასააქტიურებლად არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი:

- ინგლისური ენის ცოდნის არასაკმარისი დონე, როგორც იუნკერებთან/მსმენელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სამხედრო ინსტრუქტორებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან მიმართებაში;
- უცხოეთის სამხედრო სასწავლებლების მიერ განხორციელებული ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებთან აკადემიის პროგრამების ჰარმონიზაცია;
- სამხედრო Erasmus+ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის საჭიროება უცხოურ სასწავლო ინსტიტუტებთან;
- მსოფლიოში პანდემიის გავრცელება და მისგან გამოწვეული შეფერხებები.